

411
1912/0

შინაური საქმეები

№ 1

ფასი ერთი შაური
წაღურა ფასი 4 მან
წელიწადი მეხუთე.

სოციალ-კვირული გაზეთი

კვირა, 1 იანვარი 1912 წელი

აქავეთა უსუკვებს თავის მკითხველებს ამ ახალ წელში მზვიდობიან და მუდ-
აკო ცხოვრებას, ზემოა საჩუმონომის მხრით ამადლებას და განმტკიცებას.

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის

სოციალ-კვირულ გაზეთ

შინაურ საქმეებზე.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

წლიურით — 4 მანეთი უველგან. ||| საბი თვით — 1 მანეთი.
ნახევარი წლით 2 მანეთი. ||| ერთი თვით — 2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თავიდან 2 მა-
ნეთი და 1 ივნისს 2 მანეთი.

განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ს. გარდინის ს. ს. ს. ს. ს.

ღმერთო გაგვიტენე ახალი წელიწადი!

იყო ახალი წელიწადი. მხიარული კაცობრიობა ქვეყნად ღვთის გამოჩინებას, ბნელ და ტანჯულ დედა მიწაზე მხსნელ მაცხოვრის გამოცხადებას ღმრთისწავლობდა, ქეშმარიტებისა და ნეტარების ძებნით დაღლილ-დაქანცულ ქვეყანას განხორციელებული ქეშმარიტება მოეკვლინა. ბნელსა შინა მსხდომარეთა წინ კვლავ აერთო ბრწყინვალე ლამპარი. უკუნით მოცული ცხოვრების აღსავალი განათლდა. კაცთა ცხოვრებას ახალი საფუძველი ჩაეყარა, ახალი დასაწყისი მიეცა. იესო ქრისტეს პიროვნებამ— განხორციელებულმა ქეშმარიტებამ და სიყვარულმა— ააფრთოვანა, გაიტაცა ადამიანი, ახალ ძალითა და ბრწყინვალე ნუგეშით აავსო მისი მკმუნვარე სული და სასოწარკვეთილების ბორკილებს გამოსტაცა. ბოროტებასა შინა მდებარე ქვეყანას მოეფინა განმამხნევებელი, განმაცხოველებელი ხმა: „დიდება მალათა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“ ეს ხმა მშვიდობისა და სათნოებისა მარტო ხმა არ იყო. „მე მორავედ თქვენდა, ძმანო, არა მოვედ მეტნობისა სიტყვითა სიბრძნისათა მითხრობად თქვენდა წამება იგი ღმერთისა... სიტყვა ჩემი და ქადაგება არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყვათათა, არამედ გამოცხადებითა სულისათა და ძალითა (1 კორ. 2).

პირველი იგი წარჰხდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ (2 კორ. 5), ღალადებს მხილველი და მქადაგებელი კაცობრიობის იმ ნეტარ ოქროს დროისა. ქვეყანა განათლდა, ისტორია ახლად დაიწყო, კაცობრიობამ იგრძნო ეს ახალი სული, ახალი ჰაერი, თავისუფალი ამოსუნთქვა, მჩქეფარე ძალა თვის შორის, იგრძნო თავის განახლება, ახლად დაბადება და დროთა აღრიცხვა ისევ პირველ რიცხვიდან დაიწყო.

ღმერთო პირველი ღვთის ახლის წლისა. დი

დი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, სოფელი და ქალაქი,— ყველა საღმრთისწავლოთ გამოწყობილია. რა მოხდა ახალი? შეგვეძინა რამე? ახალი ძალა ხომ არ იგრძნო ჩვენმა დასუსტებულმა სხეულმა? ჩვენმა მძინარე სულმა გიღვიძა? ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა ჩვენს ბნელ ცაზე? გამოხსნის ხმა ხომ არ ისმის?— არა, ვგრძნობ, მიპასუხებს დაღონებული მკითხველი,— ერთი წელიწადი გათავდა, სამას სამოცდა ხუთმა ღღემ გაიარა, დედამიწა მზის გარშემო შემოტრიალდა და ისევ დაიწყო თვისი ჩვეულებრივი მოქცევა. შემდეგი წელი დაიწყო.

იყო ახალი წელიწადი. მას შემდეგ მეოცე საუკუნეა. ღმრთისწავლის კი შემდეგი წლის დასაწყისია. მაშინ კაცობრიობამ თვისი განახლება იღმრთისწავლა, ღმრთისწავლის მოქცევის განახლებას ედღმრთისწავლობდა. მაშინ კაცობრიობამ არხივში წაიღო ძველი ცხოვრება,— ღმრთისწავლის კი არხივში მიგვაქვს ძველი „ანგარიშები“, ძველი „საქმეები“, ძველი „ქაღალდები“. მაშინ კაცობრიობამ იგრძნო ახალი ძალა, ახალი იმედი, ახალ ცხოვრებას დაუახლოვდა,— ღმრთისწავლის ვგრძნობთ გამოღმრთისწავლულ ძალას, გაცრუვებულ იმედს, საფლავს ვუახლოვდებით. მაშინ ახალი წელიწადი იყო, ღმრთისწავლის შემდეგი წელიწადი. მაშ რა მოგილოცო, საყვარელო მკითხველო?! აღამიანს ულოცავენ ხოლმე ახალ ძალას, ახალ ცხოვრებას, ახალ იმედს, ჩვენში კი ჯერ ისევ ბნელია. ღმერთო გაგვიტენე ახალი წელიწადი!

ონიფრე შვირი.

ს ი ტ ყ ვ ა

ოცდა მესამე კვირიაკეზე.

შოდღვარ, რა ვქმნე, რათა ცხოვრება საუკუნო დაემკვიდრო? (ღუკ. 10. 25).

ასეთი კითხვით მიმართა ერთხელ იესო ქრისტეს ვინმე სჯულის მეცნიერმა ებრაელმა.

ხალხის მოძღვარო, ერის ხელმძღვანელო, ყველასაგან ცნობილო მასწავლებელო, მითხარ, დამარცხე, ამიხსენ, მასწავლე და მიმახვედრე, როგორ ვიმოქმედო, რა გზას დაეადგე ცხოვრებაში, რა გავარდნო ისეთი, რომ საუკუნო ცხოვრების ღირსი გახდეთ, ეკითხებოდა მაცხოვარს სჯულის მეცნიერი.

მაგრამ წაკითხული სახარება ამელავნებს, რომ სჯულის მეცნიერისათვის სრულებითაც არ იყო საჭირო დასმული საკითხის ახსნა—განმარტება. მისი პასუხი იესო ქრისტესაგან მიცემულ კითხვაზე ნათლად გვიჩვენებს, რომ მან ნამდვილად და ჩინებულად იცოდა, რაც საჭირო იყო ებრაელისათვის საუკუნო ცხოვრების შესაძენად და თუ, მიუხედავად ამისა, მაინც ეკითხება ქრისტეს, ამას სჩადის იგი არა იმ განზრახვით, რომ ახალი რამე შეიძინოს, რითაჲმ გაიფართოვოს და გაიღრმავოს თავისი ცოდნა, არა, იგი კითხვას უსვამს იესო ქრისტეს იმ მიზნით, რომ ქრისტე გამოსცადოს, ქრისტეს წამოაცდინოს რამე, ქრისტე ჩააბას რამეში, კრების წინაშე ქრისტე დაამციროს, შეარცხინოს და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. ასეთი იყო მიზანი და განზრახვა სჯულის მეცნიერისა.

გასაკიცხი დასავგომბი, სათაკილო და სამარცხენოა კაცისათვის ცბიერობა, მზაკვარება, მანქანება, ოინებისა და ეშმაკური ფანდების ხმარება. გასაკიცხი და საგომბია ამ მხრივ ჩვენგან გაგონილ სახარებაში გამოყვანილი სჯულის მეცნიერის საქციელი და სასტიკათაც იკიცხება იგი წმიდა ეკლესიისაგან ასე ხმამაღლა რომ ცხადდება მუდამ წელს მისი გულის დაფარული აზრი.

გარნა ამ სჯულის მეცნიერს, მიუხედავად მისი გაიძვერობა-ცბიერობისა, საუკუნო ცხოვრება მაინც სწამებია, იმისი რწმენა მაინც ჰქონებია, რომ კაცი მარტო მიწის მკვიდრი არ არის, კაცის არსებობა მარტო მისი ქვეყნიური ცხოვრებით არ განისაზღვრება. რა ვიფიქროთ იმათ შესახებ, რომლებიც სოფლებში და ქალაქებში, შინ და გარეთ, ღებინში და

ქირში ჩავგვიჩინებენ და გვარწმუნებენ: არავითარი საუკუნო ცხოვრება არ არსებობსო, მიწაზე ვიბადებით და აქვე, მიწაზევე თავდება საბოლოოთ ჩვენი არსებობაო; საუკუნო ცხოვრების შეძენის ძიება ასნულლებს ადამიანს ფუჭი ოცნებობით, შრომა საქმიანობის უნარს უკარგავსო, ქვეყნიერობას აძლულებსო, მოყვასზე ზრუნვას უქარწყლებსო და სხ. არიან ისეთი საკითხები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება, არავითარი გავლენა, არავითარი სიახლოვე და შეხება არა აქვთ ადამიანთა ქვეყნიურ ცხოვრების მიმდინარეობასთან, ამ ცხოვრების ხასიათთან, მის ავკარგობასთან, მის ბედნიერება-უბედურობასთან, განათლება-შეუგნებლობასთან, სათნოება-ულომობელობასთან. ასეთია, მაგალითად, საკითხი იმის შესახებ, დედამიწა ტრიალებს თუ მზე ნასწავლები ამტკიცებენ, რომ დედამიწა ტრიალებს და მზე უძრავი სხეულიაო, უსწავლელები კი იმ რწმენისანი არიან, რომ მზე ამოდის, მზე ჩადის, მზე მოძრაობს, დედამიწა კი უძრავათ სდგას ერთ ალაგზე. გნებავს დედამიწის უძრავობა იწამე, გნებავს მზისა, ეს რწმენა ვერა გვარ გავლენას ვერ იქონიებს შენს ყოფაქცევაზე, ეს დაჯერება არც გაგამხევეებს და არც დაგაზარმაცებს, არც გაგაზალისებს და არც გულს ვავიტებს, არც გავაწმინდავებს და არც გავაავაზავებს, არც აგამალლებს და არც დაგამდაბლებს.

სულ სხვაა საუკუნო ცხოვრების საკითხი.

ეს საკითხი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება-მოქმედების ხასიათისა და მიმართულების დედა მარტია, ე. ი. ამ საკითხზეა დამოკიდებული ჩვენი მოქალაქობის ხასიათის სიკარგვეც და სიღუბკირვეც, ჩვენი ცხოვრების სიამ-ტკბილეც და სიმწარეც, წინსვლა-წარმატებაც და ჩამორჩობა-ჩამოქვეითებაც. ცხადია აქედამ, რომ ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე ყველას გარკვეული და სწორეთ აწონილი შეხედულობა უნდა გვქონდეს, ე. ი. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რა არის საუკუნო ცხოვრება.

მდაბიოთ და ყველას მისახვედრათ რომ

ვსტკვათ, საუკუნო ცხოვრება არის ღმერთთან სიახლოვე, ღმერთთან ერთობა, ღმერთთან ზიარებისა და კავშირის დაქვერ ჩვენის მხრით ქვეყნიურ ცხოვრებაში სიმართლისა, სიწმინდისა და სიყვარულის განხორციელების საშუალებით. ვისი ცხოვრებაც ამ ქვეყანაში შემოსილია სიმართლით, ვინც ამ სოფელში ყოველთვის და ყველაფერში მიმდევარია სიწმინდისა, ვისაც ამ სოფლათ ამოქმედებს სიყვარული კეთილისადმი, ის უკვე მკვიდრია საუკუნო ცხოვრებისა, მისთვის დედაძიწაზევე იწყება ეს საწარული ცხოვრება, იგი აქედანვე თვისი და მახლობელი ხდება ღვთისა.

მართალია, სიტყვები — სიმართლე, სიწმინდე, სიყვარული მახვილივით სჩხვლეტენ კაცის სინიდიისს, იგი მშვენიერად გრძნობს, რომ მეტად შორს არის სიწმინდეზედაც, სიმართლეზედაც და სიკეთისადმი სიყვარულზედაც, რომ მისი ბუნება მიზიდულია ცოდვისა, ბოროტებისა და უბედურებისაკენ, რომ იგი ყოვლად უღირსია ღმერთთან სიახლოვისა, ღვთის სავანეში მკვიდრობისა, მაგრამ ამავე დროს მას ამხნეებს ხსენ გვარი ხმა, რომელიც ჩასძახის: ნუ შეშინდები, ღმერთი მოწყალე და გულმტკივნეული მამაა, მას სურს შენი მოქცევა, შენი დაბრუნება ზეციურ სავანეში, შენთან სიახლოვე და კავშირის განახლება!

ეს სულის სიღრმიდან ამოვარდნილი ძახილი ადამიანს აღვიძებს, აფხიზლებს ფეხზე აყენებს და მთლათ ახალი ცხოვრების გზაზე დადგომის განუსაზღვრელი სურვილით იცავს მის არსებას. მის წარმოდგენას ცხადად ეხატება ზეციური ცხოვრების საუცხოვო განწყობილება, იგი რწმუნდება, რომ ზეციურ ცხოვრებაში არავითარი ალაგი არა აქვს დათმობილი ზნეობრივ ნაკლულევენებას, ბოროტებას და ცოდვიანობას, იქ თვითეული მოქალაქე განსახიერებაა ერთი შეორესადმი უანგარო სიყვარულისა, თვითეულ წევრს გული უცემს მხოლოდ საერთო, საზოგადო სიკეთისათვის. ამგვარად გამოფხიზლებული კაცი ხვდება, რომ როგორც სიერცემში ამართული ხე იმდენად

მაგარი და მდიდარია ნაყოფით, რამდენადც ღრმად და ფართოდ აქვს მას გაშლილი ფესვები ნიადაგში, ისე თვითონ იმდენად მონაწილე იქნება ზეციური ცხოვრებისა, რამდენადც აქ, დაბლა, დედაძიწაზე თავისი მოქმედებისა და ცხოვრების ფესვებად დასახული ექნება სიმართლე, ზნეობის უმწიკლოება, მოძმეთა სიყვარული და სხვების სანაცვლოდ თავის დადება. უძიროდ, უფესვოდ წამოუდგენელია ძვირფასი ნაყოფით დატვირთული ხის ტოტები; ზეციური ანუ საუკუნო ცხოვრება, უმაღლესი სიკეთით დატვირთული ტოტია კაცის ქვეყნიური ცხოვრებისა: ვინც აქ ბიწიერი ცხოვრების მიმდევარია, ვისაც აქ გადათელილი აქვს სიმართლე და არას დაგიდევს, რა ხასიათის საშუალებით იძენს სიმდიდრეს და სამსახურს, ვისაც საკუთარი ოჯახისა და თავის თავის მეტი არავინ ახსოვს, ის ფესვებ მოქმეული, ძირდაშალი და გულგამორღუებული მცენარის მსგავსია და ვერასოდეს ვერავითარ ნაყოფს, ვერავითარ ყვავილს და დამამშვენებელ ფოთოლს ვერ გამოიტანს ვერც თავისთვის და ვერც სხვისთვის.

საუკუნო ცხოვრების მკვიდრად გახდომის წადილმა დააყნა ზოკიერითი რჩეული პირები ისეთი ცხოვრების გზაზე, რომელიც განუწყვეტელი თესვა იყო კაცთა შორის სიკეთისა, სიწმინდისა სინათლისა, სიბოძისი და ურთერთის სიყვარულისა, რომელიც წარმოდგენდა ზეციური მამის ცნობისა, მისი დიდებისა, მისი უსაზღვრო ერთგულებისა და შეილობრივი სიყვარულის გამოხატულობას. საუკუნო ცხოვრების დამკვიდრების წყურვილმა შემოსა უძლეველი სულიერი ძლიერებით ქრისტეს მოციქულები, ამ სამლო წყურვილმა გარდაქმნა ზნეობრივ გმირებად პირველი ქრისტიანები, რომელთა წინაშე სიმდაბლით ქედი მოიხარა გალაღებულმა წარმართობამ; ამ წყურვილმა შესძინა ქვეყნიერობას ზნეობის სიფაქიზე, მან დასდო ფასი კაცს კაცის თვალში, მან გაუშუქა ადამიანს გონება, ამან აიყვანა კაცობრიობის ნაწილი განვითარების იმ ხარისხამდე, რომელზედაც დღეს ვეროპა სდგას, ერთი სიტ

ყვით, საუკუნო ცხოვრების დამკვიდრების ძიების შედეგად ყველა ის, რაც კი რამ კაცის ცხოვრებაში მოიძიება მაღალი, სამლო, ნათელი, სასახელო, სასიკეთო და პროგრესული.

ამიტომ ცილისწამება, როდესაც საუკუნო ცხოვრებისადმი ტრფილს აცხადებენ კაცის განვითარებისა და ქვეყნიური ცხოვრებისათვის მავნებელია. სად და როდის იყო ამისი მაგალითები? კაცობრიობის განვლილმა ცხოვრებამ არაფერი ამის შესახებ არა იცისრა. პირიქით, წარსული მაჩვენებელია იმისი, რომ სადაც კაცი მძიმებელი ყოფილა საუკუნო ცხოვრებისა, იქ ამ ძიების განუწყრელი თანამგზავრი ყოფილა ადამიანის უმაღლესი განვითარება გონებითაც, ზნეობითაც, მოქალაქეობითაც და ქონებრივაც. ამასვე გვიკარნახებს აწმყოც. დარჩა მხოლოდ მომავალი, მაგრამ მომავალში რაღამ უნდა გააქროს და გააუქმოს ის ძალი, რომელიც იყო და არის სიცოცხლის ღერძი? რისთვის, რომელი მოსაზრების ძალით უნდა შეიწუხოს თავი სიწმინდისა, სიმართლისა, სიკეთისა და განვითარებისათვის იმან, ვინც სრულებით არ მოელის საუკუნო ცხოვრებას, ვისთვისაც ყველაფერი იწყობა და ყველაფერი თავდება დედამიწით? თუ მართალია, რომ სიკვდილი მოგვსპობს და არარად გვაქცევს, რა კეთა, რომ ისედაც მოკლე სიცოცხლე შევალიოთ სიწმინდეს, სიმართლეს და განვითარებას, და ნაცვლად იმისა, რომ მივყვეთ ჩვენი ბუნების მოთხოვნილებებს და გამოვრჩეთ წუთი სოფელს ყველაფერს, რისი მოცემაც კი მას შეუძლია?

მცნება საუკუნო ორგანიული ერთეულია; იგი შეიცავს წარსულსაც, აწმყოსაც და გაუთავებელ მომავალსაც მტკიცება იმისი, რომ კაცს მომავალი არა აქვს, სიცოცხლის ძარღვის შუაზე გადაჭრა. ამიტომ საუკუნო ცხოვრების უარისმყოფელნი უბოროტესი მტრები არიან კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესობისა, წინსვლისა და წარმატებისა; მათი ქადაგება მოძღვრებაა სიკეთის განადგურება და სიწმინდის ჩაქრობისა ცხოვრებაში.

სიცოცხლე ცისა და დედამიწის ერთობაშია და ღმერთსა ვთხოვ, რომ ყველა ჩვენგანის ქვეყნიური ცხოვრება სრული და უტყუარი პასუხი იყოს კითხვაზე: მოძღვარ, რა ვაქმნე, რათა ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდრო? ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ქართული სამღვთო წერილის შესახებ.

გულახდილი აღსარება ყველას და ყველაფერში ვერ მოუხერხებია. მეც ამ რიცხვში ვარ ჩასათვლელი, მხოლოდ ერთი პირობით: რაც ქვემოთ მოგვხსენებათ, ჩემი წრფელი რწმენაა და მისი ექვის თვალთ განხილვა შეუწყნარებელი ცილის წამებათ გამოდგება. შესაძლოა ვინმემ კიდევ მიკვირნოს „ჩამორჩომილი“ და დაქველვებული“ მსოფლმხედველობის აღსარება. ან გამკიცხოს მეორემ ამ გამად გათახსირებული და აბუჩად აგდებული „პატრიოტული“ გრძნობის გამოთქმისთვის. მე მანც ჩემსას ვიტყვი, საქვეყნოდ აღვიარებ გულში ნადებს.

მიყვარს ქართული ეკლესია, მიყვარს მისი გარეგანი გეგმაც, იქ მწყობრად მგალობელთა გუნდი და ტკბილ ხმაზე წაკითხული სამღვთო წერილი. მიყვარს ჯერ იმიტომ, რომ მხოლოდ აქ მესმის დიადი და გამომეტყველო მამაპაპური ენა, რომელზედაც ღვთისადმი ლოცვას ალავლევდნენ ჩვენი წინაპარნი, აღმაშენებელი მცხეთის, სიონის და გელათის ტაძრებისა. სასოების გარდა, რომელიც ავსებს ჩემს დაწყულვებულს გულს, ქართული სამღვთო წერილი მიღვიძებს ჩაფერფლილ პატრიოტულ სიამაყესაც, როცა ვისმენ სამოციქულოს კითხვას, მაშინ მაგონდება მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც თან დაჰქონდა იგი მოგზაურობის და ომიანობის დროსაც, არ გაატარებდა არც ერთ დღეს, რომ არ წაეკითხა მოციქულთა საქმენი ჩემი ოცნება: აცოცხლებს მაშინ ათასი წლის წარსულ სურათს, ვხედავ ახოვან და სახელოვან მეფეს ხელნაწერ სამოციქულოს კითხვი ალტაცებულს და მასთან ძველ საქართველოს, მორწმუნეს და მტკიცეს ეკლესიის და მამულის დაცვის საქმეში. როცა დაუჯდომელი ვაისმის ღვთისმშობლის ხატის წინაშე და სულს ეწვეთება მალამოსავით აქ ამონაკითხი სიტყვები, მაშინ ცოცხლად ვხე-

დავ თვალცრემლიან მეფე თამარს, რომელიც მუხლმოდრეკით ჩაჰკვირვებია ლოცვანს და შეჰვედრის უფალს საქართველოს დიდებას და ბედნიერებას. როდესაც ჩემი ყური გაიგონებს ნაზად დაწყობილს „მამაო ჩვენო“, მაშინ გამომებატება მეფე ირაკლი კრწანისის ველზე გულმხურვალედ მლოცავი, რათა ააღდინოს მამულს კარზე მომდგარი საშინელი განსაცდელი. მესმის „ქრისტე აღსდგა“ და წამსვე ვხედავ დავით გარეჯის მონასტრის ბერებს, რომელთაც ზედ აღდგომა ღამეს, ლიტანიობას, დავსა სპარსეთის შემოსეული ჯარი და მათი უმანკო სისხლით შეღებვა სავანის ზღუდენი.

წყნარი და საიდუმლოებით მოცული გალობა „რომელი ქერუბიმთანი“ უცებ მაგონებს იმ მოსწავლე ბავშვებს, რომელნიც საეკლესიო სკოლაში ანგელოზის ხმაზე აღუღუნებდნენ ამ ლოცვას, განსწავლულს წმ. ექვთიმეს მიერ. ვხედავ ჩამწკრივებულ ბიჭებს, ცეცხლებრივ ანთებული თვლებით, ვხედავ მათ დედ-მამას ხელ-აპყრობით შემავედრებულს, რათა გაუხარდოს უფალმა შეილი მამულის მკველად და კერის სანთლად. სმენად ვარ გადაქცეული, როცა დიდებულად კითხულობენ სახარებას, მკაფიო ენით გადმოთარგმნილს და უღალავი მუშაკის გიორგი მთა-წმინდელის ღვაწლით. ესტკვები კითხვის ძველებური კილოთი, აღტაცებაში მოვდივარ საძლეთო წერილის ღრმა ცოდნით და დაუშრეტელი სიყვარულით, რომელიც ერთად ჩააქსოვეს ღირსმა ქართველმა მთარგმნელებმა. სწორედ აი მაშინ ვგრძნობ სიამაყეს, როდესაც ვუკვირდები ამათ შეუღარებელ შრომას და ვგრძნობ, რა ნიჭით, შრომის მოყვარეობით და შეგნებით ათასი წლის წინად გადმოიღეს ქართულად ეკლესიის საჭირო და აუცილებელი წიგნები. ეს სამღვთო წერილი, რომელიც გაისმოდა ათასი წლის წინად ქართველი ერის ბავთავან, შეგვჩა აქამდის და მეოცე საუკუნის მორწმუნე ხდება დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ირაკლის თანამედროვედ: იგივე ლოცვა იმავე ენით, იგივე გალობა იმავე ხმაზე, იგივე სამოციქულო და სახარება მაკავშირებს ძველ დროთა ქართველ სოფადოებსან ჰყოფს განუწყვეტლად წარმოშობას და განვითარებას წარსულს და აწმყო საუკუნოებისას. ამიტომ მიყვარს ქართული ეკლესია, ამიტომ თავგამოდებით ღირსია დავიცვათ ძველად ნათარგმნი სამღვთო წერილი, რათა ისტორიუ-

ლი კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შოშის.

ა. ხახანაშვილი.

„არ არის აღავი.“

(რუსულით)

საზოგაო მოთხრობა.

„შიაწვინა იგი ზაგასა. რამეთუ არა იყო მთდაადგილ საგანესა მას“ (ლუკ. 2, 7.)

შობის დღესასწაული დგებოდა. სახლის პატრონები დიდ სამზადისში იყვნენ. ისინი ხარშავდნენ, ხრაკავდნენ საქმეებს დღესასწაულისთვის, ასუფთავებდნენ სახლებს, ეზოებს, ჰბანდნენ ბავშვებს.

აი გაისმა ზარის წკრილი რომელიც უწოდებდა ხალხს საღამოს ლოცვაზე. დაიწყო წმინდა საღამო.

ბევრ სახლებში, მიუხედავად ფახურული ფანჯრებისა, მოსჩანდა მორთული შობის ხეები.

ყველანი ჩქარობდნენ, სცილობდნენ, მალე გაეთავებინათ საქმეები. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ სახლის პატრონი ქალები გაჯავრებით აძევებდნენ ერთი სახლიდან მეორეში ახლოგზდა, ღარიბათ ჩაცმულ ქალს. ზოგიერთი მათგანი აძლევდა მას შემწვრის ნაჭერს, ან პურის ნატებს, მაგრამ არც ერთს აზრშიაც არ გაუარა, რომ ეს უცხო ქალი, ქუჩუიან მჩვრებში გამოხვეული პაწაწა ბავშვით, დარჩენილიყო მათთან ღამე.

საწყალობა ქალმა თითქმის მთელი დიდი სოფელი შემოიარა კარ-და-კარ, და ყველგან, სადც კი ითხოვა ღამის თევა, მიიღო ერთი და იგივე მოკლე პასუხი: „არ არის აღავი.“

დალონებულმა და იმდ-გადაწყვეტილმა ჩაიკრა ბავშვი გულში დაანება თავი სოფელს და ჩქარის ნაბიჯით წავიდა. ზარების რეკის ხმა მოისმოდა უკანდგან და თითქოს

იძახდა, რომ მაცხოვრისთვისაც, როდესაც ის მოვიდა ქვეყნად, არ მოიპოვებოდა ადგილი აღამიანის სახლში.

როგორცკი გავიდა ის ქალი სოფლიდგან, დაიწყო ტრიალი მინდორი, სადაც ქარი თავისუფლად მოქროდა მაღალი მთებიდგან, სოფელში თითქოს მყუდრო იყო, მაგრამ აქ ისეთი ნაბუჭი იდგა რომ ადივლად შეიძლებოდა გზის დაკარგვა საბრალო დედაკაცს სული ეგუებოდა, და მიუხედავად სიცივისა, წამდაუწუმ იწმენდავდა ოფლს შუბლიდგან. იმან იცოდა, რომ მთელი ღამე კარში ვერ დარჩებოდა, რომ ის სადმე უნდა მისულიყო, თუ არ უნდოდა, რომ თითონაც გაყინულიყო და ბავშვიც გაეყინა.

როდესაც იმან მიახწია მთამდის,—მოიხედა სოფლისკენ, რომელიც ეხლა დახტოვა. ყველა სახლები და ეკლესიები განათებული იყო სათლებით. ზარების რეკა ისმოდა აქაც. მოსჩანდა, როგორ გამოდიოდა ხალხი ეკლესიიდან. ეხლა ისინი დაბრუნდებიან თავთავიანთ სახლებში, შემოუხსნებიან სუფრას თბილ ოთახებში და შეუდგებიან სადღესასწაულო ვანშაშს; ის კი თავისი ბავშვით სდგას აქ ერთადერთი, სრულიად მარტოდ ცარიელ მინდორში. ცივი ქარი ასე ზუზუნებს! ვინ იცის რამისიმორეხაა ჯერ კიდევ მახლობელი სოფელი! რაღა უნდა იყოს, რომ იქაც არ იყვეს ადგილი? არადა არ იყვეს! ასეთ ღამეში!..

საბრალო დედაკაცს, მარტოდ დატოვებულ, კარში გამოგდებულს, თვალები ცრემლებით აევსო და გადმოსცვივდა ჩაუარდნილ ლოყებზე. ოხ! ხუთი წლის წინათ ვინ იტყოდა, რომ ის ასე უპატრონოდ იხეტიალებდა!..

— უპ, დედა! დედა! — ოხრავდა საბრალო დედაკაცი, — ნეტავა დაგენახა შენი საწყალი, უბედური ქალი! რატომ მეც თან არ წაიყვანე შენთან საფლავში?..

ნეტავი არა ყოფილიყო ეს უკანასკნელი ხუთი წელიწადი! წინათ იგი სცხოვრებდა შეძლებულ გლეხ-კაცის ოჯახში, და ერთადერთი ქალიშვილი იყო. ძმა მოუკვდა მას ბავშვობაშივე. მშობლები მოხუცდნენ და საქროვებდნენ ბატრონობას. გაათხოვეს ეს ქალი და სიძე თავიანთთან დაასახლეს. ქმარი — კარგი, ღამაზი

ბიჭი იყო. ხალხს ეგონა, რომ ბედნიერათ იცხოვრებდნენ, მაგრამ რა იცის ხალხმა?.

პირველად საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ ქმარი გამოდგა ლოთი. ფხიზელი კარგი კაცი იყო; მაგრამ რაკი დაღვედა, გადაირეოდა, აღარ იცოდა, რასა შერებოდა. ქონება სულ ლოთობაში გაფლანგა. სიმამრი ამაზედ ეჩხუბებოდა, და საქმე ხანდა-ხან ცემამდიაც მიდიოდა. ქალი და დედა მაშინ უნდა გაქცეულიყვნენ ხოლმე მეზობლებთან.

დედა ძალიან დარდობდა, რომ დაადგა თავის ქალს ასეთი მძიმე უღელი, და ჯავრს თან გადაჰყვა. მაშინ მამამ გაავლო სახლიდან სიძე, რადგანაც ვერ ითმენდა იმის ლოთობას. ქალი კი მოხუცს თავისთან უნდოდა დაეტოვებინა.

— მე არ მინდა, — ამბობდა იგი, — რომ ჩემ ქალს ჯოხებითა და მუშტებით სცემდნენ.

ქალი ძალიან ძნელ ვარემოებაში იყო ჩაყვებული. ვერ გადაეწყვიტა: გაჰყოლოდა ქმარს, რომელსაც საკურთხევის წინ შეჰფიცა ერთგულობა, თუ მამასთან დარჩენილიყო. ქმარმა დაპირებებით და თხოვნით დაიყოლია თან წაჰყოლოდა.

პირველად ქმარი ფრთხილობდა, არა სეამდა. მალე იშოვნა ადგილი რკინის გზაზე. ჯამაგირს საკმარისს იღებდა, და რიგიანად სცხოვრობდნენ. სემწუხაროდ, კეთილდღეობა მალე დაიშალა. წინანდელი სისუსტე, როგორც დარჩენილი ავადმყოფობა, ხელმეორედ დაუბრუნდა, და ქმარმა დაიწყო სმა. ადგილიც დაჰკარგა, და შემოეხარჯა, რაც რამე შენახული ჰქონდა. ავადაც გახდა. ცოლი უვლიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ველარა უშველარა, ლოთობამ მოშალა მისი ჯანმრთელობა და ავადმყოფობა თანდათან წინ მიდიოდა. ცოლმა დააგირავა ყოველივე სახლის ავეჯეულობა, და როდესაც ქმარი მოკვდა, იმის დამარხვაზე ყველაფერი დაეხარჯა, რაც კი რამე ებადა. ცოლს აღარა დარჩარა, გარდა პაწაწა ბავშვისა და თავის ტანზე ტანისამოსისა.

ის წავიდა მამასთან, სთხოვა რომ თავისთან მიეღო, მაგრამ მამას ამ ხნის განმავლობაში ცოლი შეერთო, რომელიც ისეთი ბოროტი იყო, რომ უბედური ქალი დაითხოვა.

— აქ შენთვის არ არის ალაგი! შენ შენი წილი გაქვს მიღებული და აქ საქმე აღარა გაქვს-რა. თუ შენ ლოთის გაპყე, შეაგროვე ქონება იქ, სადაც გაჰფანტე.

ეს მოხდა შემოდგომაზე. საქმე არა უჩნდებოდა-რა, მით მომეტებულად, რომ პატარა ბავშვით არ იღებდნენ. საბრალო ქალს აღარა დარჩენოდა-რა იმის მეტი, რომ წასულიყო სხვაგან სადმე, სადაც იმას არაფერ იცნობდა, და გაეტარებინა ზამთარი მათხოვრობაში.

და აი ის დღევანდლამდის, როგორც იყო იოლად გამოდიოდა მოწყალებით; მაგრამ დღითი-დღე ყოფნა უძნელდებოდა; და რა საშინელება იყო დღეს!..

ის ჩამოჯდა იქვე თოვლის მიხროვებულ ზვინზე, და ხმა-მალა დაიწყო ტირილი. ქვეყანა იყო ასეთი დიდი და ასეთი ცივი! და ამ განუზომელ ქვეყანაზე არსად არ არის ალაგი, არ არის თავშესაფარი. არ არის არც ერთი თანამგზავნი, შეგბრალე ადამიანი! თუ ვინმე მას მოწყალებას აძლევდა, უყურებდა მას შედიდურად; რამდენს უნდოდა მისი შეურაცხყოფა!..

უბედურმა შემოირტყა ხელები თავზე: — როდემდის? როდემდის უნდა იყვეს ასეთ უბედურ მდგომარეობაში? ყველასაგან დატოვებული?

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! კვნესოდა იგი ხმა-მალა — ღმერთი... მაგრამ სად არის!.. შკოლაში იმან ოდესღაც ისწავლა ღმერთზე, ისწავლა ქრისტეზედაც, მაგრამ ყოველივე ეს იყო როგორღაც ბუნდად, შორს იყო, ნისლით გარე ემოცული. იმას ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ღმერთი არის სადღაც მაღლა—მაღლა; და ეგონა, თუ-კი ხალხს არავითარი საქმე არა აქვს ამ დაკარგულ ქალთან, მაშ იმას რაღა მზრუნველობა ექნება მასზე!..

გაიფიქრა ბავშვმა, აილო მაღლა თავი და დაიკენესა:

— დედა! მცირე. წავიდეთ აქედგან, წავიდეთ დავიძინოთ!

ქალი წამოდგა.

— აჰა შენ პური, — ამშვიდებდა ის ბავშვს,

და ჩქარა, როგორც კი შეეძლო, გასწია გზაზე. იქით შორს მოსჩანდა ანთებული სანათობი; მაგრამ ეს სოფელი არ უნდა ყოფილიყო, უფრო ცალკე სახლები იყო მთაში, იქ, უთუოდ, თუნდაც ბოსელში მაინც იმას მისცემენ ღამე თავშესაფარს.

ქარი უფრო ძალიან ამოვარდა და ნამქერს აყრიდა იმას თვალებში. გზა სულერთიანად წანამქრა, და ის მუხლებამდის იფლავებოდა თოვლში.

ბავშვს შესცივდა და ტირილს მოუშატა; სინათლე-კი თითქოს უფრო შორდებოდა უბედური მგზავრი უკვე აღარა გრძნობდა სიცივეს. თოვლი ეცემოდა მას მუხლზე და დნებოდა; ის აღარა გრძნობდა, ბოლოს, ის წაიქცა დიდ თოვლში და ველარ შეიძლო ადგომა. ბავშვის ტირილიც, ქარის ზუზუნიც ერთმანეთში აირივნენ და აუტანელ მწუხარებას აგრძობინებდნენ.

ის ჯერ კიდევ გრძნობდა, რომ წვეს; უნდოდა ადგომა, მაგრამ ვერ შეიძლო; უნდოდა დაეყვირნა, მაგრამ ხმა აღარ ჰქონდა.

— მე დავიღუპები... და ბავშვიც დაიღუპება, — გაუარა თავში საშინელმა აზრმა.

— არსად არ არის ადგილი ქვეყანაზედ.

ამასობაში მაგარმა ძილმა მოიკცა მისი გრძნობები. იმან დაიძინა თოვლის დიდ ლოგინში მინდორზე.

ძილში ნახა, რომ ვიღაცამ აიყვანა იგი, თითქოს ფრინავდა მასთან, და სადღაც დასდო იგი. იმას ესმოდა ხმაურობა. მაგრამ არ შეეძლო მისი გარჩევა. იმას ეჩვენებოდა, რომ ხედავს ვიღაც გულშემატკივარ მეგობარს, რომელიც ჰბანს მას ხელ-პირს, აცმევს ტანსამოსს, ჰხვევს თბილ ლოგინში, რომელიც იმას ჰქონდა წინათ, როდესაც ის ბავშვი იყო დედასთან. იმას ეშინიან თვალების გახელა, რომ ეს საუცხოვო სიზმარი არ გაქრეს.

ბოლოს, იმან მაინც გაახილა თვალები, მიიხედა - მოიხედა, და დიდად გაცვიფრდა... ეს სიზმარი არ იყო. ის იყო სინამდვილე, იმან დაიძინა მინდორში ქარ ბუქის ღმურში, და გაიღვიძა გლეხ კაცის თბილ ქონში.

ოთახი იყო დაბალი, მაგრამ სუფთა. ლოგინი, რომელშიაც იმან გაიღვიძა, იყო აგრეთვე სუფთა. ახლოს იდგა მაგიდა, რომელზედაც ელაგა საქმელები შობის—ლაშის ვახშმისა. მაგიდასთან ისხდნენ ახალგაზდა კეთილი სახის გლეხ-კაცი და მისი ახალგაზდა ცოლი; იმათ ახლოს—ორი პატარა შვილი და ამათში ამისი საკუთარი ბავშვიც.

გლეხ-კაცს ეჭირა წიგნი და კითხულობდა განცვიფრებულმა პირველი სიტყვით ქალმა ყური დაუგდო. ეს წაკითხული საკვირვლად ჰკავდა მის საკუთარ მდგომარობას: „და შიშვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათდა ადგილ სადგანსა მას“. გლეხ-კაცი კითხულობდა ვიღაც სხვაზე, რომელშიაც აგრეთვე, როგორც ამან, ვერ ჰპოვა ადგილი ხალხში. აგონდება მას, რომ ეს ნაცნობი ამბავია, რომ მას საღდაც, როდესაც გაუგონია იგი. ჰო, მართლა! ახალ აღთქმაში, სახარებაში დაწერილია იესო ქრისტეზე. იმანაც ხომ ვერ ჰპოვა ადგილი ადამიანებში.

— აბა გაიგონეთ, ბავშვებო, — უთხრა მკითხველმა მამამ, — რა მოხდა, როდესაც დაიბადა ძე ღვთისა, უფალი იესო ქრისტე. მთელ ქვეყანაზე ხალხმა ვერ უშოვა მას ადგილი. მოვიდა ცხოველი ღვთის სიტყვა, განხორციელდა სრული ღვთის სიმაართლე, — და ხალხში არ არის ადგილი. დაქარილია ყველა ადგილები სხვა რამეებით. დედამ ჩააწვინა ახლად დაბადებული ბოსლის ბაგაში, პირუტყვების ადგილას.

მაგრამ დღესაც ძე ღვთისა აგრეთვე დადის ქვეყანაზედ, აგრეთვე ეძებს თავშესაფარს ხალხში, და დღესაც აგრეთვე არ არის ადგილი მისთვის. იმას აგრეთვე უნდა დასახლდეს ხალხის გულში, თუ-კი ისინი შეუშვებენ მას ჩემო შვილებო, როდესაც თქვენ ძილის წინ ლოცვას დადგებით, შევედრეთ მას, რომ ის შეგეწოთ თქვენის გულის გახსნაში ღვთისათვის, რათა უფალი შემოვიდეს იქ და გასწინდოს მთელი თქვენი ცხოვრება. როდესაც ხალხის გული დახურულია, ცხოვრებაში მან შინ ძალიან ცივა. ვინ იცის, რამდენ კარბში დაარაკუნა უკვე უფალმა, და არ შეუშვს იგი. დაუძახეთ თქვენ, სიყვარულით მიიპატიეთ იგი, რომელსაც მიიქვს ხალხში საყვარული. ის უმადლესია ქვეყნის ყველა მეფეებზე

იმის სამეფო ტახტი არის სიმაართლე, სიყვარული და წმინდა სიხარული, მაგრამ ის ჩაოვიდა ჩვენთან, ჩვენს უბედურ, ქუჩიან, დამნაშავე დედამიწაზე, რომ ცხოვრება გადაექმნა სასიყვარულოდ, სამართლიანად, ბრწყინვალედ მოძიებად და ცხოვრებად დაღუპილთა.

ცხოვრება, ბავშვებო, მიდის ორი გზით. ერთი ვიწროა, მიდის ზევით, მაღლდება ზეცისკენ. ამ გზით მიდ ან ის ადამიანები, რომლებიც უტყურობას ღმერთს, როგორც თავის უმთავრეს სიყვარულს, და რომლებიც სცხოვრობენ ღვთის მცნებების თანახმად.

მეორე გზას მიჰყავს დაღუპვისაკენ. იგი განიერია. ხალხი იმაზედ ადვილად მიდის, არავითარი დაბრკოლება არ აყენებს და მიექანება დაღუპვის ჯურღმულისაკენ. ძე ღვთისა ჩამოვიდა, გაეწმინდა ისინი მიკრული ქუჩისაგან, გაეკეთილოვანებია მათი თავაშვებულის, განარღვეული სული. ის დადის ეხლაც, ეძებს, ვის უნდა შეველა მზათა ყველას და ყოველთვის გაუწოდოს თავისი გამამტკიცებელი ხელი.

ვიყავით ჩვენც დედა თქვენთან ერთად, ბავშვებო, ამ საშინელ ფართო გზაზე, მაგრამ მაღლობა ღმერთსა, იმან გამოგვიყვანა ჩვენ და გვაყენა ღვთის სიმაართლის გზაზე თქვენ, ბავშვებო, აი ამ გზით იარეთ. ნუ აგარევათ გზა. ეხლა — კი წადით, ილოცეთ, მხოლოდ ჯერ მითხარით, როგორ უყყარს ზეციერ მამას მთელი ქვეყანა.

ბავშვებმა პირჯვრის დასაწერათ მოამზადეს ხელეები და ნაზი ხმით წარმოსთქვეს: „ესრეთ შეიყვარა ღმერთთან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა რწმენეს იგი, არა წარწყმდეს, ირამედ აქნდეს ცხოვრება საუკუნო“.

ქალმა დაინახა შემდეგ, როგორ დაემხენენ პირქვე და ლოცულობდნენ შობილებიც და შვილებიც. იმათთან ერთად დაიჩოქა იმისმა პატარა ბავშვმაც, ისინი ჰმადლობდნენ ღმერთსა, რომ უფალმა მოუვლინა ხალხს ხსნა.

აქ ამ ქალს მოუვიდა აზრში, რომ ის

ამისთვის ღმერთს არასოდეს არ მადლობდა და არც არასოდეს უფიქრია ღვთის სიყვარულზე. იმას აზრშია არ მოსვლია, რომ ძე ღვთისა ეხლაც დადის და ეძებს, ვის მიუტანოს ხსნა, ურაკუნებს ხალხის დაღუპულ გულს, ქალი პირველად მიხვდა, რომ ისიც ერთი დაღუპილთაგანია: იმან არ იცოდა ღმერთი, არა გრძობდა სიყვარულს მისდამი და არ ასრულებდა მის მცნებებს. ის ყოველთვის მიდიოდა ფართო გზით და ჩაგორდა თითქმის ძირამდის. იმას ძალიან შეეშინდა. მახლობელი ნათესავები იმას ქვეყნად არავინ ჰყავს; ღვთისაგან კი ის წასულა თავისთავად შორს. რა უნდა ჰყავს, რომ ხელმეორედ მიუახლოვდეს იმას, რომელთანაც არის ცხოვრებაც, ცხოვრებაც, სიხარულიც?

ამასობაში ოჯახობამ გაათავა ლოცვა. ბავშვები წავიდნენ დასაძინებლად და სიხარულის ქრიამულით წაიყვანეს თან თავიანთი პატარა ამხანაგიც. ქალმა დაინახა, როგორ დააწვინეს სახლის პატრონებმა ბავშვები, დაჰხურეს, და დაჰკოცნეს სამივენი.

აქ კაცმა პირველად შეამჩია, რომ ქალმა გაიღვიძა, მაშინვე მივიდა მასთან, დაუძახა კოლსაც. ისინი ორივენი სიყვარულით მიეღვრნენ, გამოჰკითხეს: კარგათ ეძინა, თუ არა, ან ხომ არა სტიკივარა. მოუტანეს საქმელი და ისე გაუმასპინძლდნენ, როგორც თავის დას. უბედური დედაკაცი ასეთი მოქცევით ძალიან მოლობა. ის თან ტიროდა და თან ისე სკამდა. გულში ეზრდებოდა სიხარული და უნდოდა ლოცვა: ღვთისადმი მადლობის შეწირვა მისი მოწყალებისათვის.

როდესაც იმან მადლობა გადაუხადა კეთილ ადამიანებს, სახლის პატრონმა გააქნია თავი და უთხრა:

— ჩვენ ნუ, ღმერთს მადლობდები. მე ვნახე შენ პატარა ბავშვით ერთ ხრამში თოვლში წახვეული. დაგდე შენ ჩემს მარხილზე და მოგიყვანე აქ ასე გვასწავლა მაცხოვარმა: „მყოფა მე და გამათბეთო; უცხო ვიყავ, — და ბინა მომეცითო; მშვიერი ვიყავ, — და გამოკვებეთო“.

სახლის პატრონებმა გამოჰკითხეს მას, ვინ არის იგი, სადღურია და რანაირათ ჩავარდა ასეთ უბედურ მდგომარეობაში. ქალმა და-

წვრილებით უამბო მთელი თავისი ცხოვრება სახლის პატრონი ქალი სტიროდა მასთან, ხოლო კაცმა უთხრა:

— მე ეს ისტორია ვიცი: მე თითონ ვიყავი შენი ქმრის გზაზე დამღვარი; ბე მადლობა ღმერთსა, რომ იმან მომაბრუნა თავის გზაზე. შენ ქმარს რომ ქრისტე მაცხოვარი სკოდნოდა, ის, უთუოდ, ეხლაც კოცხალი იქნებოდა. თავის თავად ძნელია ლოთობიდან თავის დაქერა; საქიროა შემწეობა. ბოროტება კეთროვნებასავით თან და თან ღრმად უჯდება, მანამ მთლად ადამიანს არ შესჭამს. აქ შეუძლიან შეველა მხოლოდ მარტო უფალს, მე ეს ვიცი ჩემს თავზე. მე თითონ ვიღუპებოდი ლოთობისაგან, და მე დამიხსნა მხოლოდ ღმერთმა.

როდესაც მე პირველად მივიხედ-მოვიხედე ღვთის გზაზე, — მე უცებ გამეხსნა გული და დავინახე, რომ იგი იყო ქუქყიანი და აყროლებული, როგორც ბოსელი. მე შევივადრე ქრისტეს, და იმან ისმინა ჩემი. ის მოვიდა ჩემთან, ჩემ გულში, ბოსელისავეთ აყროლებულში. იმან არ იუკადრისა, და მიხსნა მე ლოთობისაგან, განმაახლა სულით. ოხ! რა რიგ მიხაროდა, როდესაც მე ვიგრძენი ჩემი თავი ახალ ადამიანად! რა ბედნიერი ვარ მე დღევანდლამდის!

— და თქვენ გგონიათ, რომ ის შემოვა ჩემს გულშიაც? — ცრემლით ჰკითხა ახალგაზდა ქალმა.

— უსათუოდ! მხოლოდ სთხოვეთ, დაუძახეთ. იმან თითონ სთქვა: „აი მე ვლგვეარ კარებთან გულისა და ვრეკ. ვინც გაიგონებს ჩემს ხმას და გააღებს კარებს, — შევალ მასთან, და დავადგრები“.

დიდხანს ისაუბრეს კადევ იმათ, შემდეგ ერთად ილოცეს ბოლოს სახლის პატრონმა ქალმა უთხრა:

— დღე ასწაულეს ჩვენთან გაატარებ, მაგრამ რას ფიქრობ, შემდეგ სად წახვალ?

— ამას შეუძლიან მთელი ზამთარი ჩვენთან დარჩეს, — უთხრა გლეხმა — მე წავალ ტყეში ყარაულად, შენ მაშინ მარტო დარჩები. თქვენ ორივენი ერთად იქნებით.

კარგი იქნება. გაზაფხულზე გაზაფხულზე, მშვიდობაა, აქ ახლო საღმრთო საქმეს იშოვნის; ნუ შესწუხდები, — უთხრა სახლის პატრონმა ქალმა ახლად მოსულს: — დაიძინე, ღამე მშვიდობისა!

სანთელი ჩაქრა პატარა სახლში; და ყველას სიხარული თავზე დასტრიალებდა. სახლის პატრონებს უხაროდათ, რომ ამ უბედური დედაკაცის სახით იმათ ისტუმრეს სახლში შობის ღამეს ქვისტე მაცხოვარი; და თვით დედაკაცი მაცხოვრისადმი მოაქციეს. უბინაო მოგზაურ ქალს უხაროდა, რომ იმან იპოვა ყოველივე ის, რაც იმისთვის საჭირო იყო: მშვიდობა სულისა და ძვირფასი ნუგეშისმცემელი, რომელიც არასოდეს არ დასტოვებს მას, თუკი თითონვე არ დახურავს მის წინ თავის გულს. ამასთანავე ნახა თავშესაფარი თავისთვის და თავის ბავშვისათვის. — მე ეხლა მართო აღარა ვარ — ამბობდა ქალი; მე დაღუპული აღარა ვარ. ჰოი, კეთილო, სისიხარულო შობის ღამე!

ახალგაზდა ქალის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როგორც არა ჰქონდა საზღვარი ზეცაზედ, სადაც ანგელოზები დღესასწაულობდნენ ღიღი დღეს ქრისტეს შობისას ქვეყანაზე. დღეს დედა-მიწამ მიუტანა ახლად-შობილს თავის საუკეთესო მსხვერპლი, — ცოცხალი სული, განახლებული და დაღუპვიდგან მიქცეული ცხოველებისავე. სისიხარულო ამ ადამა მოიტანა ახალი აფრთოვანება, და ანგელოზებმა უფრო ხმა-მალა და სიხარულით ივალღებეს „ღიღებდა მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“...

მდ. ათანე დუკიანოვა.

კვირიღამ-კვირამღ

დანამდვილებით გამოირკვა, რომ გორის ეპისკოპოსათ, საქართველოს მესამე ქორ ეპისკოპოსათ, არქიმანდრიტი ანტონი (ალექსი გიორგაძე) ინიშნება. მისი ხელდასხმა უნდა მოხდეს პეტერბურგში.

სამღვდლო კანდიდატების არჩევნების მოსპობის უქაზი უკვე მიუღია სინოდის კანტორას და ამ დღეებში ეცნობებათ ეპარქიის მღვდელმთავრებს.

ყოველდღე სამღვდლო დავითი ამ დღესასწაულზე ილავერდში წაბძანებულა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მართველობას შეკითხებია უწ. სინოდი, ექნება თუ არა სასწავლებელს ბინა, რომ სემინარიის ორი პირველი კლასი მოეთავსოსო. სასწავლებლის გამგეობას დასტური მიუცია.

ქართლკახეთის სამღვდლოების მორიგი კრება 23 დეკემბერს დასრულდა. კრებაზე საყურადღებო საკითხი არა გაურჩევიათ რა. დამატებითი ჯამაგირების განაწილებას დიდი კამათი და აურზაური გამოუწვევია?!

უწმიდესი სინოდიდგან სამოსწავლო საბჭოს ბრძანება მოსვლია, ამაღლების მეორე კლასიანი შკოლა დაიხუროს და მის მაგიერ ქალთა შკოლა გაიხსნას, მხოლოდ არა სოფ ამაღლებაში, არამედ სხვაგანო. აღისუბნის მეორე კლასიანი შკოლაც რომელიმე მონასტერში უნდა გადაიტანონ, სადაც იგი მოამზადებს სამედავიტონო კანდიდატებს, ხოლო აღისუბანში ამის ადგილზე უნდა გაიხსნას ორკლასიანი შკოლა სამეურნეო განყოფილებით.

ამის შემდეგ თუ სამრევლო შკოლების სრულად გაუქმება არ უნდათ, გვგონია, სამასწავლებლო სასწავლებელი უნდა დაარსდეს, მსგავსი საერო სამასწავლებლო სემინარიისა.

იანვრის პირველ რიცხვებიდგან იმერეთის საეპარქიო სანთლის სავაქრო დუქანი გადავიდა თბილისის ქუჩაზე ს. ბოკერიას სახლში კერძო გიმნაზიის პირდაპირ.

იმერეთის ეპარქიის ყოველი მხრიდან გვე-
კითხებიან არის თუ არა საღმრეთო საეკლესიო წი-
გნებო და რატომ მათი საწყობი არ მოგვე-
პოვება ქუთაისში, რომ აღვიღათ შევიძინოთო?
ასეთი წიგნების შეძენა შეიძლება სიონის დეკ-
სვიმონოვისაგან, რომელსაც აქვს ეს საქმე მინ-
დობილი სინოდის კანტორისაგან. მაგრამ სამ
წუხარო ის არის, რომ აქაც ვერ იშოვით ყვე-
ლა საჭირო წიგნებს. ზოგი ეხლა იბეჭდება
მოსკოვის სინოდის სტამბაში, მაგ კურთხევა-
ნი რომლის უკვე ექვსი ფორმა დაბეჭდილი
და რომლის ბეჭდვა სამ წელიწადს მაინც გას-
ტანს. მინამ კი როგორც გვიწირავს, ისე უნ-
და ვწიროთ. იმედია ყოველდღეობა გი-
ორგი მოაქცევს ყურადღებას ამ საკითხს და იმ
წიგნების საწყობს მაინც გახსნის, რომლებიც
დღეს მოგვეპოვება.

სამეგრელოს სამღვდლოების მორიგი კრე-
ბაც დასრულდა 26 ნოემბერს და დაადგინა
საქალაქო საწავლებლის გახსნა დ. ძველენაკ-
ში.

ყოველდღეობა გიორგიმ განკარგუ-
ლება მოახდინა ცაგერის საბლალოჩინო ოლ-
ქის გაყოფის შესახებ. ეს ოლქი გაიყოფა
ორათ—ლაშხეთის საბლალოჩინო და თვით ცა-
გერისა. ცაგერის საბლალოჩინო სამღვდლოე-
ბას ნება მიეცათ ბლალოჩინი აირჩიოს.

13 დეკემბრის იმერეთის სამღვდლოების
რწმუნებულთა მორიგ კრებაზე დამატებითი
ჯამაგირები დაენიშნათ შემდეგ სამრევლოებს:
კუცხათისას 392 მან., ტბეთისას 392 მ.,
ცხრუკეთისას 274 მ. 40 კ., ტოლისას 268 მ.,
საკაოსას 264 მ. 60 კ., სოჩხეთისას 258 მ. 84
კ., სარტველეთუნისას 248 მ. 92 კ., ლაჩტი-
სას 276 მ. 36 კ., ხონჭიორისას 264 მ.
60 კ., ველევისას 288 მ. 12 კაპ., ურავისას
215 მ. 60 კ., ძიროვანისას 264 მ. 60 კ.,
ზვევეცისას 274 მ. 40 კ. და ხევისჯვარისას

239 მ. 12 კ. სულ 3922 მან. და 8 კ.

ამ წელში ჯამაგირით დაკმაყოფილდნ ის
მღვდლები, რომლების მრევლი არ აღმატე-
ბოდა 148. საგაისოთ ჯამაგირის განაწილება
დაიწყება 149 კომლიან სამრევლოდან.

გადანარჩენი 4 მანეთი და 37 კაპ. კრებაში
მისი მეუფების განკარგულებაში დასტოვა.

მისი მალალ ყოველდღეობა მღვდლოებს
საქართველოს ექსარხოის ინოკენტი უკვე ჩა
მობრძანდა პეტერბურგიდან და შეუდგა საქ
სარხოის ჩვეულებრივ გამგეობას:

ძველი წლის ტირილა.

(მესტირული)

ვერ ავასრულე რაც მწადალა:—
სტიროდა ძველი წელიო,—
ვერ შივაცენე ქართველებს
ზედ მეტი განსაცდელიო.
თუმც არ მიზოგავს არაფრით
ერი, ბერი და მღვდელიო,
მე მაინც ვერ ავისრულე
ნაკისრი საწადელიო.
სიბერე შამომეპარა,
მან შემეშალა ხელიო,
წყეული იყოს სიბერე.
ძნელი ყოფილა, ძნელიო!
ახალ შემეკვიდრეს მივანდევ
ჩემი სამეფო ძველიო,
დამპირდა, რაც ვერ მოვასწარ
მან მოუთაოს ხელიო.
თუ რამ დავაკელ ქართველებს
მტერობა, მას არ ვსტიროო,
ამათი ხიდის ჩამტვრევა
არ არის გასაკიროო.
საკეთილდღეო საქმისთვის
არა აქვთ ერთი პიროო,
ერთი მეორეს ხელს უშლის

ვმ ბედით განაწირო,
 ერთი არ კარგავს ძველ ხე-წესს,
 რაც კარგია და ძვირიო,
 მეორე მისდევს კვალ და კვალ,
 რომ გაუთხაროს ძირიო...
 დაკარგვს პამაპაპური
 ძალა, ერთობა ძმურიო,
 ტახტად დაიდგეს საგმობი,
 ქვეყნის დამქცევი შურიო.
 რასაც თავის თავს მტერობენ,
 მათ სხვა ვერ უზამს მტერიო...
 ჩემო ქამანჩა, ჩემსავით
 შენც ხომ ამაზე მღერიო?!

რ. საჯავახოელი.

რას გვწერენ?

სრფ. ახმეტა, (თიანეთის მაზრა).

მეჭვსმეტს წასულ გიორგობისთვის ამ სოფელში, სამრევლო შკოლის შენობაში, ჰქონდა კრება თიანეთის მაზრის, ფშავხვესურეთის პირველი ოლქის, საბლალოჩინო სამღვდლოებას შიმა ბლალოჩინის გიორგი ინაევის თავმჯდომარეობით. კრებამ სხვადასხვა სამქმეების გარდა განიხილა კიდევ ხუთი საქმე, რაზედაც ყურნალებიც დაადგინეს. 1. ყურნალი: კოდის პურის იკრეფა, რადგანაც უსიამოვნებას იწვევს მრევლსა და კრებულს შორის, სასურველია მოიპოს და ჯამაგირები დაგვენიშნოს, ან არა და ფულზედ გადავიდეს და ფული ხაზინიდან გვეძლიოს, 2. საეპარქიო დებუტატის არჩევაზედ; აირჩიეს საყდრიონის მღვდელი გრიგოლ ტყეშალაძე. 3. საბლალოჩინო საბჭოს დაარსებაზედ, რისთვისაც აირჩიეს თავმჯდომარეთ, თვით ბლალოჩინი მ. გიორგი ინაევი და წევრებათ მღვდელი გრიგოლ სონღულაშვილი, მღვდელი ნიკოლოზ ბაკურაძე, მღვდელი გიორგი პეტრიფი და მედავითნე ევგენი დალაქიშვილი. 4. მოძღვართ მოძღვარზედ, რისთვისაც აირჩიეს მღვდელი ნესტორ ბაკურაძე, და 5. საბლალოჩინოში ერთი მთავარ დიაკვნის ნების მოცემაზედ. ყველა ამებზედ, როგორც ზევით ვსთქვი ყურნალები დაადგინეს და წარადგინეს სადაც ჯერს არ დასამტკიცებლათ. აღმოჩნდნ ისეთი მამები, რომ

მელნიც სხვის მრევლში ერევიან და უსრულეზენ სხვადასხვა წესებს ადგილობრივი კრებულის ნებადაურთველად თავიანთი პირადი სარგებლობისათვის. ამ პირებს შიმა ბლალოჩინმა ინაევმა შენიშვნა მისცა და ძმურათ ამხილა შემდგენისთვის ნულარ გამეორდება ასეთი საქციელიო, თორემ იძულებული ვიქნები მთავრობას შევატყობინოვო. კიდევ სხვადასხვა წვრილალი საქმეების გარჩევის შემდეგ, ახალმა ამორჩეულმა მოძღვართ მოძღვარმა მღ. ნესტორ ბაკურაძემ, მოახსენა კრებას დაახლოვებით შემდეგი: „მამანო და ძმანო! ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით და მოვალენი ვართ ერთმანეთის ავკარგიც ძმურათ გავიზიაროთ და ვეცადოთ, ჩვენი მრევლის თვალში დამცირებული არ ვიყოთ. ჩვენ მოვალენი ვართ, ჩვენ მოძმეთა და სულიერ შვილებს სულიერი საზრდო მივაწოდოთ შეძლებისდაგვარათ და როგორ ან რითი? დრონი იცვალნენ, ჩვენ მართო საეკლესიო წიგნების კითხვით, ჩვენ მრევლს ვერ მივაწვდით სულიერ საზრდოს. ჩვენ უნდა ვკითხულობდეთ დროის შესაფერ ყურნალ განხეთებს, რომ იქიდან შევიძინოთ რამე, და მრევლსაც გადავსცეთ, გაუზიაროთ ყურნალგაზეთებიდან წაკითხულ-გაგონილი მაგრამ სამწუიაროთ ამას მოკლებულნი ვართ. როგორც დანამდვილებით ვიცი, ჩვენგანი სულ ორი-სამი არა კითხულობს გაზეთს, და ზოგმა არც კი იცის, რომ ჩვენ გვაქვს ერთად ერთი ქართული სასულიერო ყურნალი „შინაური საქმეები“. ეს ყურნალი ძვირი არ არის, რომ მისი გამოწერა ძნელი იყოს, მაგრამ რადგანაც ჩვენ ნივთიერად ვერა ვართ დაკმაყოფილებული, რომ ჩვენი საფასით ყურნალი დავიკვეთოთ ხოლმე, დავადგინოთ და ვიშვამდგომლოთ, სადაც ჯერარს, რომ ეკლესიის ფულით ნება გვქონდეს „შინაური საქმეების“ გამოწერისა.

კრება თანაგრძობით მიეგება ახალი მოძღვრის წინადადებას და გამოსთქვა რომ ამაზე ყურნალის დადგენა მეტია, და ყველა კრებულს შეუძლია მისი გამოწერა ეკლესიის ფულით, როგორც სასულიერო ყურნალი და აუცილებელი საქირო კრებულისათვის.

ზოგთა აღრესიც კი დაიწერეს, და ვნახოთ, როგორ ასრულდებენ თავიანთ სიტყვას მაშინ დამტკიცდება, როგორ ხალხისთ მისდევნენ ჩვენი თანამოძმე მამანი ყურნალ-გაზეთების კითხვას, და როგორც ეძიებენ თავის მრევლის-

თვის სულიერ საზრდოს შეძენას. საღამოს შვიდ საათზე კრება დაიშალა.

დამსწრე მღვდელი.

სოფ. სამთისი, (რაჭის მაზრა).

პირველ წარსულ დეკემბერს, დღით ხუთ-შაბათს, ეკურთხა ს. სამთისის წმინდის გიორგის სახელზე აშენებული ქვის ეკლესია. ეს ეკლესია შენდება 1902 წლიდან. ბევრი იზრომეს სამთისლებმა ამ ეკლესიის შენებაზედ და დღეს ეღირსენ იგინი მის დამთავრებას. ბევრ ნაირი დაბრკოლება ელოდებოდათ მათ წინ ამ საქმეში: ხან უსახსრობა, ხან მოძრაობა, ხან ზოგიერთთაგან დალატი, ხან ოსტატის ცუდლუტობა, და ხან კიდევ, ვინ იცის, რამდენი დაბრკოლებანი აძნელებდენ ამ წმიდა საქმის სისრულეში მოყვანას. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში ადგილობრივ მღვდელს მ. ივლიანე ჩლაიძეს. სიმართლე რომ ესთქვათ, მხოლოდ მისი მაცადინებობით დასრულდა ამ ტაძრის შენება, თორემ კიდევ რამოდენიმე წელიწადს გასტანდა იგი. მ. ივლიანე ჩლაიძე რომ მოვიდა სამთისში (1904 წ.) საქმე დაწყებული დახვდა, მაგრამ ცოკოლის ამოყვანისთანავე უსახსრობით მუშაობა შეჩერებული იყო იმ წელშივე მიიღო მან კომიტეტის თავმჯდომარეობა, და მთელის ძალღონით შეუდგა საქმის მოწესრიგებას და გამოკეთებას. სხვა რომ არა იყოს რა, იგი ძლიერ შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ხალხს მაშენებელ ოსტატისათვის კომიტეტის დაუკითხავად და გაუგებლათ ეძლიათ ფული. ზოგს ჩაბარების ბარათიც არ უჩნდა და ოსტატი უარს აცხადებდა მიღებაზედ. ამ გარემოების მის ვლისა თანავე სიაქცია მან დიდი ყურადღება და აუკრძალა მრევლს ამ ნაირად კომიტეტის გაუგებლად ფულის გადახდა. დიდისმაცადინებობით შეასწორა ყოველივე ანგარიშები და საქმის წარმოება სწორ ფარგალში ჩააყენა. გარდა ამისა მამა ივლიანეს არ აცდენია ამ საქმეში არც ფიზიკური შრომა. მე თვით, ამ სტრიქონების დამწერი, ვხედავდი, როგორ მუშაობდა იგი. ერთ დროს, ხალხს რომ არ ეცალა, და თავის საქმეს აკეთებდა, დღიურ მუშას კი საშენი მასალა ეჭირებოდა, თითქმის ერთ კვირას ზედგამებით იგი ბეჭით უზიდავდა ოცდა ათი საენის მანძილზე სილას, ზეღდა კირსა და აწვდიდა მუშას, რომ არ

შეჩერებულიყო საქმის წარმოება. ამნაირი მუსაითობით მან მშენებელად გააკეთა და მოაწყო ეკლესია. მშენებელი, ახალ გეგმაზე გაკეთებული ხის კანკელი დაუჯდა მის 590 მ. და ისეც არის გაკეთებული, რომ ვერავითარი ამ საქმეშიდ დახელოვნებული ოსტატი მის ნაკლს ვერ უნახავს. ამ კანკელში არიან ჩასმულ ოქროს ვარაყით მოქედლი ქართული ტიპის მშენებელი ხატები (ღირებული 500 მ.) ასე რომ საყდარში შესვლისთანავე მნახველი იგრძნობს ლხენას, და სიამოვნებას. მხოლოდ სერობის ხატი მოხვლია მხატვარს ცოტა მაღალი და ჩარჩოში არ მოთავსებულა, რასაც დისსონანსი შეაქვს სიმეტრიაში. იმედი უნდა ვიქონაოთ, რომ უ. დავით ისაკაძე, რომელსაც დაუწერია ხატები, არ უარჰყოფს თავის მოვალეობას და ამ ნაკლს შეავსებს. აგრეთვე კარგად ინებებს მ. ივლიანე, რომ საკურთხეველის იატაკს გამოკვლიდეს ვინაიღვან იგი ასეთ ღამაზად მოწყობილ ეკლესიას არ შეეფერება. კურთხევა ეკლესიისა ჰქონდა მინდობილი ადგილობრივ ბლაღოჩინს დეკანოზს მ. მიხეილ სხირტლაძეს, რომელმაც ოთხის მღვდლის და ერთის დეკანოზის დახმარებით შრომიანად შეასრულა კურთხევის წესი, კურთხევას ურიცხვი ხალხი დაესწრო. ეკლესიაში რომ არ თავსდებოდენ, მთელი ეზო მოკავდა ხალხით. რამდენად ბევრი ხალხი დაესწრო ეკლესიის კურთხევას, მოწმობს ის ფაქტი, რომ რამოდენიმე მანდილოსანს სიეწროვის გამო საყდარში გული შეუწუხდა, და გარეთ გამოყვანა ვერ მოახერხეს. წირვაზედ გალობდენ მ. ივლიანეს მიერ მომზადებული ადგილობრივი გლებები. ამ მოძღვარმა ადრევე მიაქცია ყურადღება საეკლესიო გალობას და კიდევაც შეასწავლა იგი რამოდენიმე მსურველთ, რომელნიც ყოველ კვირა უქმე დღეს მშენებელად გალობენ საყდარში. ამით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ მის წირვაზე შედარებით ბევრათ შეტი ხალხი იკრიბება, ვადრე იმ ეკლესიებში, სადაც გალობა არ არის. განიცადენის დროს მ. ივლიანე ჩლაიძემ მიმართა ხალხს (მრევლს) სიტყვით, რომლითაც ხალხი დიდათ ნისიამოვნები დაჩა.

წირვის შემდეგ წაიკითხა აგრეთვე მ. ივლიანე გიორგობიანმა მშენებელი სიტყვა ტამარის მნიშვნელობაზე
ბარის ორ-კლასიანი საშინისტრო სასწავლებლის გამგე **ს. ახარკეაძე**

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ეურნალ-გაზეთებიდან).

სატახტო გაზეთის „რჩის“ ამა წლის № 317 მოთავსებულია სტატია ეპარქიალური სასწავლებლების რეფორმის შესახებ. უწ. სინოდმა, — ამბობს გაზეთი, — შეიტანა მინისტრთა საბჭოში ეპარქიალური საქალებო სასწავლებლების გადაკეთების პროექტი და აგრეთვე წარდგენილება ამ სასწავლებლების შესანახი ფულების გადადების შესახებ.

უწ. სინოდის აზრით, საჭიროა არსებითი ცვლილების შეტანა სწავლის აღზრდა საქმეში საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლებში დროების მოთხოვნილებისდაგვარად.

უწ. სინოდმა გადასწყვიტა უწინდებულად 6 ნორმალური კლასების დატოვება, ხოლო 7 და 8 კლასები კი იქნება სავალდებულო ყველა ეპარქიალური საქალებო სასწავლებლებში-სათვის. რომ განთავსდეს ეპარქიის სამღვდელთა ამ სასწავლებლების შესანახ ხარჯისაგან, უწ. სინოდმა გადასწყვიტა საკითხი აღძრას 2 მილ. მანეთის გადადების შესახებ სახელმწიფო ხაზინიდან.

ამის შესახებ შევეკითხენ სახალხო განათლების და ფინანსთა მინისტრებს.

ამ მხრივ საინტერესოა სახალხო განათლების მინისტრის ა. ნ. შვარცის აზრი. ამის რას ამბობს: „თუკი ცნობილია, რომ ეპარქიალური საქალებო სასწავლებლების მთავარი მიზანი მღვდელთათვის ბეჯითი კოლების აღზრდას გარეშე, საზოგადოებრივი მიზანიც, მაშასადამე ამ მიზანს უმეტესად უფრო ემსახურება საქალებო გიმნაზია და პროგიმნაზიები. მთელს იმპერიაში თითქმის ათჯერ აღემატება რიცხვით ეპარქიალურ სასწავლებლებს გიმნაზია და პროგიმნაზიებს, რომლებშიც 240 ათასი მოწაფეები სწავლობენ, მაგრამ იმდენ ხარჯს, რამდენიც ეპარქიალურ სასწავლებლებზე გასდის ხაზინას, ეს სასწავლებლები არ თხოვლობენ. საქალებო გიმნაზია და პროგიმნაზიები ერთად მისაწდომია ყველა წოდებათა მემთათვის და სასწავლო ფულების გადახდაშიც არაფერი განსხვავებაა, ასევე არ ითქმის ეპარქიალურ სასწავლებლებზე, სადაც სასუ-

ლიერო წოდების ქალიშვილები სასწავლო ქირიდან თავისუფალი არიან.

ამ მოსაზრებათა მიხედვით ყოველი სახალხო განათლების მინისტრს „უჭირდა“ დათანხმებულიყო წინადადებაზე 2,036,250 მან. გადადების შესახებ საქალებო ეპარქიალური სასწავლებლების შესანახად.

ამ პროექტის მოწინააღმდეგეთ გამოვიდა ფინანსური მოსაზრებით აგრეთვე ვ. ნ. კოკცევიც.

ამ მოსაზრებათა გამო უწ. სინოდი იძულებული გახდა უარი ეთქვა პირვანდელ მის განზრახვაზე და ეშუამდგომლებია მინისტრთა საბჭოს წინაშე: ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლებში სრულ კურსს დამთავრებულთათვის (დამატებითი კლასებიანა) მიეცათ უფლება შინაურ დამრიგებელთა (ДОМАШНИХЪ НАСТАВНИЦЪ) წოდებაზე იმ საგნებში, რომლებშიც იგინი წარმატებას გამოიჩინენ და ექმნებოდნენ შინაურ არა ნაკლები 3 და სახელმწიფო ხაზინიდან გადადებულყო ყოველწლიურად სასწავლებლების შესანახად 4 ათასი მანეთი თვითულ 70 სასწავლებლისათვის, ხოლო სრულიად 280 ათასი მანეთი.

მინისტრთა საბჭომ, სწერს იგივე გაზეთი, მოიწონა არსებითად მართლმადიდებელი აღსარების უწყების წინასწარი განზრახვა მღვდელმთავართა და ბერმონაზონთათვის ანდერძით ქონების გადაცემის შესახებ უფლების მოსპობაზე; ასეთი ქონება მათი გადაცელების შემდეგ გადადის მონასტრის ხაზინაში ანუ სხვა სასულიერო დაწესებულებათა სასარგებლოთ კუთვნილებისამებრ ამის შესახებ კანონპროექტი, შემდეგ სარედაქციო შესწორებისა, შეტანილ იქნება სახელმწიფო სათათბიროში.

მ. კ. ა.—ბ.



23 დეკემბერს გადაიკვალა ცნობილი მღვდელმონაზონი ბენედიქტე (სოფ. ვახტა ბარკალია). განსვენებულმა ძველ ათონზე ბერძენებისგან შეიძინა და განაახლა ყოფილი ქარ-

თველთა ირანე ღვთისმეტყველის მონასტერი. ბევრი იღვანა, რომ ეს სავანე უზრუნველ ეყო ნივთიერად და მასთან დაებრუნებია დიდებული ივერიის მონასტერიც ბევრი შეცდომა მოუვიდა მას ამ ეკლიან ვხაზე, ბევრი შეიძლება თითონაც დააშავა, მაგრამ ერთი კი უეჭველია, რომ მან ჩასდგა საძირკველი და შესაძლებელი გახდა ბერძნის ბერებთან ბრძოლა და მათგან ივერიის მონასტრის დაბრუნების სურვილი აღძრა ქართველთა შორის. დღეს ამ საქმეზე მუშაობს ბევრი ქვეშაირიტი ქართველი და ვინ იცის, შეიძლება შორს აღარ არის ის დრო, როცა ქართველი მოღვაწე ნი ხელახლა ააყვავებენ ჩვენ დედა მონასტერს, რომელსაც ამდენი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სამშობლოს სარწმუნოება. ხნობრივ აღზრდა - განვითარებაში. განსვენებული არ ყოფილა ნაწაველი კაცი და ამ ზომამდე მოიყვანა საქმე, ეხლა ურიგო არ იქნება, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგებოდეს და აწარმოებდეს ადგილობ ვინმე ჩვენი ნასწავლი ბერთაგანი. ექვ გარეშეა, რომ ამით იგი მეტ მადლს ჩაიდენს და მეტ სახელს დაიმსახურებს ჩვენი ერის ისტორიაში, ვიდრე სხვა სამსახურიც. სამკალი მზათაა, თუ მომკალი გა-მოჩნდა.



მადლობის გამოცხადება.

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოვუცხადო, შე და ჩემი მრევლის მხრით, იმ პირთ, რომელთაც, რწმუნებულს ჩემდამო, არგვეთის საეკლესიო სამრევლო შკოლას ნივთიერად შემწეობა აღმოუჩინეს, სახელდობრ: მიხეილ დაეითის ძე მაჭავარიანს, რომელმაც შემოსწირა 30 მანეთი ფული, მასწავლებლისათვის სტოლი და სკამი ღირებული 15 მანეთი და გამოუწერა შკოლას თურნალი „ჯეჯილი“; ჯიბო დაეითის ძე იაშვილს, რომელმაც შემოსწირა 25 მანეთი ფული; სეით ლუარსაბის ძე იაშვილს, რომელმაც შემოსწირა 10 მანეთი; ნიკო კურცხაღიას, რომელმაც შემოსწირა დი-

დი დაფა, ღირებული 12 მ.; სამსონ თურმანიძეს, რომელმაც შემოსწირა კრამიტი, ღირებული 5 მ.; მაქსიმე თურმანიძეს, რომელმაც შემოსწირა 15 მ. და გიგო კუპრაშვილს, რომელმაც შემოსწირა პატარა ზარა, ღირებული 5 მანეთი. ღმერთსა ვსთხოვ ამ პირთ წამბა ძველნი აღმოჩენოდესთ და არ დაეშურნოსთ თავიანთი წვლილი ჩვენი, ახლად სულშთაბერვილი, შკოლის გამშვენებისათვის.

სოფლის არგვეთის საეკლესიო-სამრევლო შკოლის გამგე მღვდელი ნესტორ დევიძე.

29 ნოემბერი 1912 წ.



წერილი რედაქციის მიმართ.

მამო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატავცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ ზოგიერთ გარემოებათა გამო ჩვენ, არჩეულმა მედიატორებმა, ვერ ვცანით შესაძლოთ შევხებოდით მღვდელთ ი. ნიკოლაძისა და ი. თანცხავას შორის ატეხილ დავის არსებითად განხილვას, ამიტომ სამედიატორო სასამართლო ვერ შესდგა.

თავმჯდომარე—ს. ქვარიანი.

- | | | |
|-------------|---|---------------------|
| მედიატორები | } | 1, მ. ს. დევიძე. |
| | | 2, მ. ლ. კვიციანი. |
| | | 3, ვლ. ნაცვლიშვილი. |
| | | 4, ი. თევზაძე. |

იანვრის 3 1912 წ.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მადლიძე, გამომცემელი, იოსებ ლეშავა